# რატომ ტივტივებს გემი?

> გაიხსენე, რომელი საგნები ტივ-ტივებს წყალზე? შეგიძლია ახსნა ტივტივის მიზეზი? წაიკითხე ტექ-სტი და შეამოწმე შენი ცოდნა.

ზოგი საგანი წყალში იძირება, ზოგი – არა. აი, მაგალითად, იძირება ქვა. ბურთი კი ტივტივს იწყებს. მასში ჰაერია, ამიტომ არის ის **მსუბუქი**. ესე იგი, ტივტივი შეუძლია მსუბუქ სხეულს. ასეთია, თუნდაც, უამრავი გასაბერი საგანი. თუ ასეა, რატომ არ იძირება გემი? გემი ხომ ძალიან მძიმეა. ზოგი გემის ასაგებად რკინას იყენებენ. ზოგზე ბევრ ტვირთს აწყობენ. გემზე ასევე ბევრი ადამიანი ეტევა...

გემს რომ ეტივტივა, ადამიანმა ხერხს მიაგნო. გემის ფსკერზე გააკეთა **ღრუ**. ღრუ ჰაერით აავსო. გემი წყალზე მსუბუქი გახდა. ამიტომ არ იძირება გემი.

ზოგი გემი წყლის ქვეშ ცურავს. იცი, როგორ ახერხებს ამას? ასეთ გემზე არის დიდი **ავზები**. ისინი წყლით ივსება. გემი მძიმდება და ნელა იძირება. წყლიდან ამოსვლის დროს ავზებს ცლიან. მაშინ ისინი ჰაერით ივსება. მსუბუქი გემი წყლის ზედაპირზე ამოდის. ასე იწყებს ის ტივტივს.

> რით განსხვავდება წყალქვეშა გემი სხვა გემებისაგან?





**კომპეტენცია:** პრობლემების გადაჭრა, **დონე:** 22

## ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რას ვიგეთ პირველი აბზაციდან?**

ა) რატომ აგებენ გემებს რკინისგან.

ბ) რატომ არ იძირება გასაბერი საგნები.

გ) რატომ არ იძირება დიდი გემები.

**2 გემი წყალზე მსუბუქი მაშინ არის, როცა:**

ა) მასზე ძალიან ცოტა ტვირთი აწყვია.

ბ) მის ასაგებად მხოლოდ ხის მასალა არის გამოყენებული.

გ) მის ფსკერზე გაკეთებული ღრუ ჰაერით ივსება.

**3 წყალქვეშა გემი  წყლის სიღრმეში ადვილად ჩადის, თუ:**

ა) მისი ავზები საერთოდ ცარიელია.

ბ) მისი ავზები წყლით არის სავსე.

გ) მისი ავზები ჰაერით არის სავსე.

**4 ტექსტის მთავარი მიზანია გაგვაცნოს:**

ა) რა შემთხვევაში ტივტივებს გემი.

ბ) რისთვის იყენებენ დიდ გემებს.

გ) როგორი ავზები აქვს წყალქვეშა გემს.

## ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲐ

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1.**მსუბუქი** სხეული ტივტივებს.

ა) მრგვალი. ბ) მჩატე. გ) პატარა.

2. გემის ფსკერზე არის **ღრუ**.

ა) ნახვრეტი. ბ) ორმო. გ) ღრმული.

3. გემზე არი დიდი **ავზი**.

ა) ბაკი. ბ) ბოთლი. გ) კასრი.

**2 დაწერე განმარტებული სიტყვა.**

წყლის ზედაპირზე ცურვა არის ---------------------------.

**3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?**

ა) ბევრი – უამრავი. ბ) დიდი - უზარმაზარი. გ) მსუბუქი – მძიმე.

**4 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა?**

ა) აგებენ – აშენებენ. ბ) ივსება – იცლება. გ) ჩაიძირა – ამოტივტივდა.

## ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲐ

**1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.**

1. ტივტივი შეუძლია (მსუბუქი) ----------------------- სხეულს.

2. ზოგი გემი (წყალი) ----------------------- ქვეშ ცურავს.

**2 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: მძიმე — მძიმდება.***

1. მსუბუქი – ------------------------. 2. დიდი – -------------------------------.

## გრამატიკა

3 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

| რა? | რისთვის? |
|---|---|
| *ნიმუში: აგება* | *ასაგებად* |
| აწყობა | |
| ავსება | |
| დაწყება | |

4 რომელი არ არის სწორი?

ა) დიდი გემები. ბ) ზოგი გემები. გ) მსუბუქი გემები.

## წერა

1 დაწერე ტექსტის მიხედვით, რატომ ტივტივებს გემი?

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

2 წარმოიდგინე, რომ გემით ან წყალქვეშა გემით მოგზაურობ. დახატე ეს გემი. გვიამბე, რას ხედავ, რა გესმის, რას განიცდი.

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------